ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3361226

ნომერი: AR1502748

თარიღი : 17.05.2017

გაცემის თარიღი : 07.07.2017

გაცნობის თარიღი : 07.07.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045)/ ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ აბრამიშვილი პ/ნ 01011025815
- თბილისი ძევერას ქ. N 20

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 17 მაისს №AR1502748 განცხადებით მომართა მოქალაქე ვლადიმერ აბრამიშვილი და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის

№2860765 ბრძანებით, #01.18.05.001.070; #01.18.05.001.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთებისთვის (ფართობი: 505 კვ.მ; 204 კვ.მ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2)-ში მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობის აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ცვლილების შეტანას გაერთიანებული მიწის ნაკვეთის მონაცემების დაფიქსირებით. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 25 ოქტომბრის #1-1918 ბრძანებაში ცვლილების შეტანის (კერძოდ განახლებული საკადასტრო მონაცემების (საკადასტრო კოდი: 01.18.05.001.089 დაფიქსირება) საკითხი განხილულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის #24 სხდომაზე და მიეცა დადებითი რეკომენდაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ხსენებული ცვლილებების ასახვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და დაფიქსირდეს: საკადასტრო გეგმა - (საკადასტრო კოდი : 01.18.05.001.089; განცხადების ნომერი: 882017296348; მომზადების თარიღი: 19/04/2017 ფართობი: 709 კვ.მ ვალდებულების ფართობი: 80 კვ.მ (სერვიტუტი); საკადასტრო კოდად დაფიქსირდეს: 01.18.05.001.089, ფართობად 709 კვ.მ;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 05 ივლისის N 1-1538 ბრძანება.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 ოქტომბრის №2860765 ბრძანებასთან ერთად.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.